

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კ ა ნ ო ნ ი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის შრომის ანაზღაურების შესახებ

მუხლი 1.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

- ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე – 3 000 ლარი;
- ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, უმაღლესი საბჭოს კომისიის (ფრაქციის) თავმჯდომარე – 2 350 ლარი;
- გ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე – 2 100 ლარი;
- დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი – 1 950 ლარი.”.

მუხლი 2.

ამ კანონის პირველი მუხლით განსაზღვრული თანამდებობრივი სარგოს განაკვეთებით გათვალისწინებული ანაზღაურება განხორციელდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობის დღიდან, 2008 წლის 2 დეკემბრიდან.

მუხლი 3.

ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2005 წლის 11 აგვისტოს კანონი “აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის შრომის ანაზღაურების შესახებ” (გაზეთი “აჭარა”, N156, 19.08.2005).

მუხლი 4.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე

ლევან ვარშალომიძე

ბათუმი,
2008 წლის 23 დეკემბერი
N21-უ.ს.რ.ს.